განმარტებითი ბარათი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“

1. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის მიზანი:

2017 წლის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება.

3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტი პროექტით განისაზღვრა 13202000 ლარით. შემოსავლები კატეგორიების მხრივ ნაწილდება შემდეგნაირად: საგადასახადო შემოსავლები 3080000 ლარი, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი 580000 ლარი, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 840000 ლარი, მიწის გადასახადი 1660000; გრანტები 5647300 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 5415300 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 232000 ლარი; სხვა შემოსავლები 4451100 ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდა 23600 ლარი.

გადასხდელების მხრივ პრიორიტეტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 3184200 ლარი, მათ შორის:

1.1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი 625800 ლარი;

1.2. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯი 2438400 ლარი;

1.3. სარეზერვო ფონდი 100000 ათასი ლარი;

1.4. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის ხარჯი 20000 ათასი ლარი;

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 120000 ლარი.

2.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა 120000 ლარი;

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 3583460 ლარი, მათ შორის:

3.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა 1502767ლარი;

3.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 1819573 ლარი;

3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები 261120 ლარი.

4. განათლება 2193500 ლარი, მათ შორის:

4.1 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა 2193500 ლარი.

5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 3101840 ლარი, მათ შორის:

5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა 1205662 ლარი;

5.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა 1746178 ლარი;

5.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება 100000 ლარი;

5.4 რელიგიის დაფინანსება 50000 ლარი.

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1019000 ლარი, მათ შორის:

6.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვა 115000 ლარი;

6.2 სოციალური პროგრამები 904000 ათასი ლარი.

პროექტის წარმდგენი:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი: **პაატა ნადირაძე**

პროექტის ავტორი:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
და შესყიდვების სამსახურის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი: **მირიან მაჭარაშვილი**

შეთანხმებულია:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
მეორე რანგის მეორე სტრუქტურული ერთეულის
იურიდიული განყოფილების უფროსი: **თამუნა ბუზალაძე**